

სახალხო ფურცელი

საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების
სამსახური

საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების
სამსახური

ბაზათის № 43

დამატების № 8

კვირა, 20 ივლისი 1914 წ.

ს ა ქ ა რ თ ე მ ლ ო

(კ. ბალმონტიდან).

მო, მაკოცე ქართლის ქალო! აჰა ჩემი აღსარება:
შენი ხვევნა—მალამოა, შენი კოცნა ნეტარება...
მითხარ, მითხარ, რა ძალა აქვს მაგ შენს გრძნულ ხმათა ჟღერას;
რა ძალა აქვს მაგ შენს წარმტაც, ცეცხლებ მგზნებარ შავ-თვალთ მზერას?
მხიბლავს შენში ეგ სიმარდე რაშ-ტაიქის და ვეფხვ-შვლისა:
ბეჭედი აჩნს ყოველივეს, ღრმა ბეჭედი სისრულისა!

შექმნის წუთში უზენაეს თვის განზრახვა სრულ უყვია:
ვით ლერწამი, მას სალი-კლდე მოუდრეკავს, მოუხრია
და მყინვარის—მძლე ყაზბეგის—აღმართავს დიდი მთები.
მალლა თოვლნი კაშკაშობენ, ძირს ყვავიან ყვავილები.
ღმერთს დაეძებ? მალლა ადი,—გამოისხი ფრთები ქარის,
არწივისა აღმადრენით ამალღდი,—და... ის იქ არის.
უფსკრულის თავს ზე—დაბრწყინავს მუნ სიმაღლე საოცარი:
მწვერვალთ შორის თეთრად კრთის უხილავად მუნ ტაძარი...
აქ ჯადოსნობს ნაპრალებში ღრმა წარწერა ყურანისა.—
როს ძირს სძინავთ, აქ გარიყრაჲს მოსჩანს ღიმი დახრილ მზისა...
მზერს მყინვარი.—და მის ფეხქვეშ სძინავს ვაკეს, სძინავს მდელოს,
სძინავს, სძინავს ქვეშ ნათელას, მას—კურთხეულ საქართველოს,—
მას, რომელმანც ზენა-სწრაფვა თვის სამშობლო მალალ მთების
თვით აქცია საკუთრებად სტუმრად მოსულ ბარელების,
რომ მათ მინდორ-ვაკიან და უდაბურსა ქვეყანაში,—
—თუმც დიადს, ვით მოზავებულ წყალთ გუგუნი მქუხარ ზღვაში,
მძლე დარაჯად მისაყრდნობი იგი—ზღუდე მათ ჰქონოდა,
რომ მძლე ქედი უსახურ გველს, ძლიერს, თეთრად აღმართოდა!
მაგრამ გველი ორგვარია: გველი წმიდა, უშხამური
და, აგრედვე, გველა-ძუა,—გულში უდევს მტრობა-შური...
ეს ქურდულად იკბინება, ეს ქურდულად გიჭერს მახით!
დე, ნუ მალავს ჯადო ქარი ქვე-მძრომობას კოცნის სახით!..

ცოცხალია საქართველო, ცოცხლობდა და კვლავ იცოცხლებს!
ამას მღერის თვით არავგი, თერგიც ამას იმეორებს;
ამასავე კვლავ გვამცნობენ კავკასიის მძლავრი მთები...
მესმის, მესმის, დიახ, მესმის უეჭველი ეს სიტყვები!—

ისინი-კი, ვისი გულიც ფლიდურად გრძნობს, შხამს ღვრის მწარეს,
ღვარძლივით რად ესევიან მტრობით ბრმანი მხიბლავ მხარეს,—
სად ღირსია ყველაფერი თანაგრძნობის—ყურადღების,
სად ცხოვრება ადამიანთ ოცნებითა ცისკროვნების?!
ვინც რომ შედის ღვთის ტაძარში, დეე, გრძნობდეს მოწიწებას:
კრძალვა გმართებსთ ტაძრად შემსვლელთ, კრძალვით შეხვედით მის შვენებას!
აწ აღმითქვამს—დაიხსომეთ ეს მარტივი დებულება:—
დიდებულსა კვლავაც შეენის დიდებული ყურადღება!
თუ თხემი სთვლემს თოვლიანი, მან თამაშიც იცის მთებში—
თამაშიცა ელევა—ქეჭით თვის უკუნით ნაპრალებში!
თავდადების თქმულებანი ჯვრის რაინდებს—გეტყვით ფიცით:
ჩაუმარხავთ მაგრად გულში, ჩაუმარხავთ მთელის სივრცით,—
და მათ პირველთ უმღერიათ, რომ მყინვარი თვისდა ფარად
ტყულა როდი მოუწოდებს ქეჭა-ქუხილს აწ და მარად... *)

ქუთაიში, 10—7.

(იმერეთი)

სევ. მუსხრიძე.

*) ვისარგებლე „თემის“ პოეზიული თარგმანათ.

მ. ს.




საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. რესპუბ.
წ. 1914

კააუნის ტაძარში

ცას ნისლი მოჰხვევია,
 ცა ლეგათ დათალხულა,
 მის ქედზე ჩემი ფიქრი
 კუბო, გამოსახულა,
 კვდება, კვდება ყვავილი,
 უკვდება სევდით გული,
 მიდის, მიდის ილევა
 სიცოცხლის გაზაფხული!
 მალე წავა მერცხალი —
 გაფრინდა სიხარული...
 მალე წავა ბულბული —
 მოკვდება სიყვარული...
 შემოდგომავე ყვითელო,
 სიცოცხლეს რათა სთალხავ?
 ლიმილს პირზე შემაშრობ,
 ზედ ჯვარს გამოუსახავ.
 სიცოცხლის შემოდგომავე,
 რას მივლი გარეშამო,
 თუ რამ სიამე ვნახე
 გინდა ამომაშხამო!
 ცას ნისლი მოჰხვევია,
 ცა ლეგათ დათალხულა,
 მის ქედზე ჩემი ფიქრი
 კუბოთ გამოსახულა.
 ჩემს ირგვლივაც ყველაფერს
 დრო ერთიან წალეკავს,
 ჩუ! კააუნის ტაძარში
 სიკვდილი ზარსა რეკავს.

ი. ევდოშვილი.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს



ჯვარის მონასტერი. ქანდაკება აღმოსავლეთის კედელზე.

კ. აბაშიძის ლექსები სიკვდილი და ზმანება

1. გამოწვდილი ხელები:

მომაკვდავ მამას ვხედავ რალაც
 სულს რო უხუთავს,
 ირგვლივ სიჩუმე... შორს საათი
 ქლარუნებს ნელა.
 ოთახში სცივა... სანათური
 ოდნავად ბეუტავს,
 შეეკრთი,—ეს სანათს
 მიეხალა ღამის პეპელა...
 დამწვდიდა ერთ წამს
 და ბალიშზე გადაესვენა,
 ვერ ვიტყვი, მაშინ მისი სახე
 თუ რას სახავდა;
 მაგრამ არ ვიცი მართლა იყო
 თუ მომეჩვენა,
 იგი „მამაჩემს“ იმ წამებში
 სულაც არ ჰგავდა...
 ფარდა ატოკდა... კვლავ სიჩუმე,
 ღამა ბრჩოლავდა,
 კუთხეებიდან გამოკრთოდნენ
 აჩრდილნი შავად,
 ისევ ვფიქრობდი, რომ „მამაჩემს“
 სულაც არ გავდა,
 იგი ვინც ჩემს წინ სარეკელზე
 იწვა უძრავად;
 ფერ მიბნედილი ვით ზაფხულის
 მთვარე უძილო.
 ამ თვალთ უპების, ამ ნიკაპის
 არ ვარ მნახველი...
 უცებ შეშფოდა, დაიკენსა:
 „მიშველე შვილო“


ლოგინის წინ მჯდარს გამიწოდა მთრთოლოვარე ხელი...

და ვფიქრობ ახლა: ეგებ ისიც მამას მომაკვდავს,
 სიკვდილის ჟამზე ის—ჩემსავით ადა ეგებ თავს—
 ისიც ჩემსავით ნორჩი იყო, მასსაც ეგება,
 მომაკვდავ მამამ ალბად ხელი შემოაგება—
 მას კიდევ მამამ, იმას კიდევ მამამ მამისამ,
 უკანასკნელსაც სიკვდილის ჟამს ხელებმა ძისამ,
 ალუთქვა ერთ წამს სასოება, ალუთქვა შვება,—
 თვალ წინ მიდგება ხელ გამოწვდილ მომაკვდავთ წყება.
 მძიმე ცხოვრებით დამაშვრალნი, წელში მოხრილნი,
 ვხედავ ილტვიან სიკვდილისგან, სიკვდილის შვილნი—
 საით მოდიან, ან სად მივლენ ჰე, სახიერო?
 თანაც არ ვიცი ამ კარნავალს თუ რა უწოდო!
 აღარც ის მინდა, რომ ვირწმუნო და დავიჯურო,
 რომ მეც ერთ ვინმეს ხელი უნდა გამოუწოდო.

2. დ ე ღ ა

ჩემს ბავშვობაში—ავიღოდი მახლობელ სერზე
 ვიხედებოდი ჯერ უნახავ, უცნობ სივრცისკენ—
 და ვოცნებობდი შორეულ მთის უცნაურ ფერზე,
 სული იწვედა, ვით ღრუბელი უსაზღვრო ცისკენ.
 ვიტყობდი ხოლმე: „სად თავდება ცის დასავალი?
 ნეტავ სად მივალ იმ შარა გზით სულ რო ვიარო?
 ნეტავ მე ვიყო მგზავრი იგი შორს მიმავალი
 ის ჭალა, ის მთა, ის მინდორი გადავიარო.“
 ვიხედებოდი ჯერ უნახავ, უცხო სივრცისკენ—
 სული იწვედა ვით ღრუბელი უსაზღვრო ცისკენ...
 ახლა შორსა ვარ შენგან ჩემო ძვირფასო დედა.
 ტკბილი სიზმრები ჩემს ბავშვობის დღეებს თან გაჰყვა,
 ცრემლი მერევა... ნეტავ კიდევ გადამახედა
 იმ მაღლობიდან ჩემი მხარე კიდევ მანახვა.

სიკვლევი



ჯვარის მონასტერი. ძველებური სვეტები მონასტ. ჩრდილ. მხარეს.

მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.
(სურათებიანი დამატება № 7.)

II

წადი შენ გიდელიასას, მოიყვანე ი ობოლი ბიჭი—გოჩა მოჯალაბეს¹⁾ შვილი, ჩააბარე მოჯალაბეებს და გადაეცი ჩემი ბძანება, რომ კარგად გამიწაფონ—“უბძანა ერთ დღეს მურხაყანმა თავის მოურავს და უმაღვე გაუყენა გზას ბძრანების სისრულეში მოსაყვანად.

ბევრი ნალველი და შხამი ესვა უბედურ მაკოს: ობლობა, დედინაცვალი, შიმშილ-სიტეტლე, დაქვრივება-მწუხარება, უპატრონობა და ვაი-ვაგლახი, მაგრამ სულ სხვა იყო ის ნალველი და შხამი, რაც მის დამწვარ-დამდნარ გულს გადაასხა მოურავმა. მისი ერთადერთი ვაჟი, მისი სევდის გამქარვებელი, დათვის ბელივით ჩაფუნთრუშებული გულის ვარდი, მისი დათიკია უნდა მოეგლიჯა გულიდან და გადაეცა ბატონის მოურავისთვის.—თვითონ? თვითონ უნდა გაქვეულიყო შორს სადმე, დამალულიყო ჩირვებში, ან წყლის პირად, რომ ადამიანის თვალს ხელი არ შეეშალა, წამოენთხია ნალველი და მისი ცოდვით ცა და დედამიწა შეეზარა... ეტირა, ელვარა ცრემლები დიდხანს, დიდხანს და ბოლოს მოშლილ-მოქანცული წასულიყო თავის ქოხში, მიგდებულიყო სადღაც კუთხეში მშიერ-მწყურვალე უსაქმლოდ, უსასმლოდ, უამხანაგოდ... მაგრამ რა? ამით ის ბატონის გულს ხომ ვერ მოალობდა? რა სახსენებელია! მხოლოდ ის, რომ ცრემლები შევბას მოუპოვებდა უბედურ ადამიანს.

10—12 წლის, პატარა მოჯალაბე, მართალია, უდროოდ მოაგლიჯეს დედის მკერდს და მით, პირველ ხანებში, მეტის-მეტად დააღონეს, სამაგიეროდ, რამდენიმე თვის შემდეგ, ის თითოთ საჩვენე-

1) მოჯალაბე ყველაზე დაბალი ღირსების ყმა იყო სასახლეში. მის მოვალეობას შეადგენდა: ღომის ცეხვა, კეთება და ულუმფებად დარიგება, სახლის დავა და სხ., რაც გლეხის ოჯახში ქალის ვალდებულებას შეადგენს. სხვა სამსახურის ყმებს მოჯალაბეზე დიდად მაღლა ეჭირათ თავი და მის ძმობასაც არ კადრულობდნენ. იშვიათი შემთხვევა იქნებოდა, რომ მოჯალაბესთვის საცალოდ მიეცა ქალი სხვა წოდების ყმა.

ბელი ბიჭი გახდა სასახლეში... სასახლის სხვა ბიჭებისაგან იმდენად ირჩეოდა, რამდენად ოქრო რკინის და სპილენძისაგანა არა თუ ბიჭებს, ბუნებით თანდაყოლილი ჭკუა-გონებით, ნიჭიერებით და მონერხებით, ის დიდად სჯობნიდა იმ დროინდელ ხანში შესულ გლეხებსაც, რომელნიც ყმობის უღელს იმდენად დაეძაბუნებინა და დაებეჩავებინა, რომ ერთში თუ მათ დააყენებდით პირუტყვზე მაღლა, მეორეში, შესაძლებელი იყო, პირუტყვი დაგეყენებინათ მათზე მაღლა... სულ სხვა იყო პატარა დათიკია; მას ამკარად ეტყობოდა ადამიანობა, ამ სიტყვის ფართე აზრით. ის იყო მკვირცხლი, დაუხარბელი, ელვასავით სწრაფი, მაგრამ ამაყი და თავმოყვარე... როგორც ყველას, აგრდევ მიჩენილი ჰქონდა სასახლეში თავის საქმე, რასაც დაუხარებლად ასრულებდა, მაგრამ მოვალეობის ზედმეტს ბძანებით ვერავინ მოსთხოვდა, თუ არა კეთილი გულით და თუ მაინც და მაინც მოურავი, ან ვინმე უფროსი ყმათაგანი თავისას არ დაიშლიდა და დათიკიას ბძანებით მიმართავდა, უშიშარ დათიკიასაც მხად ჰქონდა მისთვის შესაფერი სიტყვა-პასუხი. ეს პატარა ყვინჩილა ვაჟაკივით აიშართებოდა, ამაყურ სახეს მიიღებდა, დინჯად გამოეკამათებოდა მოწინააღმდეგეს და ზედმიწევნით დაიცავდა თავის-თავს. ასეთი თვისება დათიკიასი ბევრს მოსწონდა, მაგრამ უფრო მეტს არა და ხშირად „უკულმართს ეძახდნენ“. ამასთან დათიკია იყო სახით ლამაზი, სახარბიელო აგებულობის და მეტად სუფთა. მაშინ, როდესაც ყმების დიდი უმრავლესობა მარტოდ-მარტო პერანგით იმოსებოდა და ისიც უფრო ხშირად დაწეწილ-დაფლეთილით და თითქმის მთელის წლობით ურეცხავათ, ეს პატარა მოჯალაბე პერანგის უამხანაგოდ ფეხსაც არსად გადასდგამდა და ჭუჭყს არ იკარებდა როგორც ტანზე, ისე საცმელზედაც. შეატყობდა თუ არა, რომ საჭირო იყო გარეცხვა, ან დაბანვა, მაშინვე გაიქცეოდა ნაკადულისკენ, რომელიც სასახლეს გვერდით ჩაუდიოდა, გაირეცხდა ტანსაცმელს, გაიმშრალებდა, ტანს დაიბანდა, ჩაიცვამდა და გასუფთავებული შეუერთდებოდა ამხანაგებს, რომელთაც ამ გვარი აზრები თავში არ მოსდიოდათ და რამდენიმე კვირითაც უბანელ პირზე მტვერი და ნაცარი ეყარათ.

ასეთი მიმართულება დათიკიასი არც ბატონებს რჩებოდათ შეუნიშნავად და ხშირად მათი ლაპარაკის საგნად ხდებოდა ეს პატარა მოჯალაბე.

— მამა არ წამიწყდეს ამ პატარა მოჯალაბეს ყმისა არაფერი სცხია; ეს თუა, თავადიშვილის ნაშრომი უნდა იყვეს—თავადიშვილის,—შენიშნა ერთხელ მურხაყანამა თავის მეუღლეს და ლაზათიანადაც გადაიხარხარა.

— რად ღებულობ ასეთ უკადრის სიტყვას, ბატონო! ცოდომადლის როგორ არ უნდა გეშინოდეს ადამიანს? როგორ გგონია! განა ყნებში არ გაერევა ადამიანი? ყოველთვის ვტუქსავ ყმებს და ვეუბნები, რომ ადამიანები უნდა იყოს მეთქი, მაგრამ პირის დაბანვა რა არის და ისიც ეზარებათ თავისთვის! ბატონისთვის მთელი დღე მუშაობენ, თავისთვის პირი ვერ დაუბანიათ! ადამიანებია ესენი?!... ეს საწყალი ობოლი შესანიშნავი ბიჭია, წორეთ, შესანიშნავი; ღმერთა აჩუქოს საბრალო დედას დიდი ცოდვია სასახლისთვის, როცა ასეთი ბიჭი იქ გაფუჭდება!...

— არა, მე იმას კი არ ვამბობ რომ... მომწონს კიდევ ი ბიჭი... მაგრამ მე ვამბობ, რომ...

— ისიც ცოდვა—ისიც. ღმერთს ნუ აწყენიეს,—შენიშნა კიდევ ტერეზიამ და მურხაყანიც გაჩუმდა.

ამ სახით, თავმოყვარე მოჯალაბე იქცეოდა საზოგადო ყურადღებას და თავის სიმკვირცხლე—სიყოჩაღით ნერგავდა თვით ბატონების გულშიაც სიყვარულს... ამავე დროს, ის 18—19 წლისა შესრულდა და უფრო დამშვენდა.

ერთხელ მურხაყანს ეწვია სტუმრად ცოლის ძმა, იმერელი თავადი—ვახტანგ სახსოვარიძე და რავდენიმე დღეს დარჩა. სტუმართმოყვარე თავადი-მასპინძელი ყოველდღე ღებინს მართავდა სასურველი სტუმრის პატივსაცემად და გაგონებაც არ უნდოდა იმისი, რომ დღეს, თუ ხვალ სტუმარი უნდა გამგზავრებულყო. წასვლას არც სტუმარი ჩქარობდა, მაგრამ ერთდღეს ხომ მაინც ბოლო უნდა მოღებოდა ამ გძელყამიერ სტუმრობას! ერთ დილას მხიარულად ნასაუზმევი და კარგად შეზარხოშებული სტუმარი მხად იყო წასასვლელად. სასახლის წინ რამდენიმე ახნაური გარს ეხვია სტუმრის ბედაურს, რომ ადგილობრივი ჩვეულებისაებრ, სასახური გაეწიათ, როცა სტუმარი გააზობრძანდებოდა; მხლებლებიც თავიანთ ცხენებს ედგნენ გვერდით. გამობძანდა სტუმარი, თავადების გამოთხოვება დიდხანს გაგძელდა... ესეც გათავდა და თავადი გაემართა ცხენისკენ. ცხენმა, თითქო იგრძნო პატრონის მიახლოვებაო, დაიწყო ხტუნვა—როკვა, მაგრამ ახნაურები არ უშვებდნენ: სამს ცხენის სადავე ეჭირა, ორს მარცხენა უზანგი და ოთხი კი მარჯვენა უზანგს ეწეოდა ძირს. შესვეს ცხენზე თავადი და მიძიდ თავ-დახრით, განზე გადგნენ. ცხენმა რომ სიმძიმე იგრძნო, ხტუნვას უმატა. ის რო-



„ფიგარო“-ს რედაქტორი კალმეტი, რომელიც ქ-ნმა კაიომ მოჰკლა.

ქ-ნი კაიო, რომელმაც „ფიგაროს“ რედაქტორი კალმეტი მოჰკლა. იგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა.

კავდა, ფეხების საოცარი შეთანხმებით ათამაშებდა ბუქნას და, თითქო ჩანგურზე უკრავსო, წინა-უკანა ფეხებს შესანიშნავი შეწყობით აბაკუნებდა. უცებ ყალყზე შესდგა, წახტნა წინ, თავი ძირს ჩაიქნია გამოსტაცა მხედარს სადავე, გადაიგდო თავიდან და მოკურცხლა. შემადრწუნებელი სურათი იყო... ქალები კივოდნენ და წივოდნენ, განსაკუთრებით დას—ტერეზიას-სახე ჩამოეჭრა, საიდანაც სისხლი ჩამოწურწურებდა და გულწასულს ქალები დასტრიალებდნენ. კაციები ყვიროდნენ და ვაი-უის ძახილით მიდამოს აყრუებდნენ, მაგრამ შველაზე არავინ ზრუნავდა და ამაზე არც შეიძლებოდა ლაპარაკი.

თავადის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა... მაგრამ, თითქო აქ, ამ შემთხვევისთვის საგანგებოთ ჩაუსაფრებით დარაჯათო, ისეუბა განიდან ჰაბუკმა, ელვასავით შიხტა ცხენს. სწვდა კლდში და მაგრად ჩასკიდა ხელი. ეს იყო რაღაც სასწაულმბრვი, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ შემთხვევით და არა წინაგანზრახვით. ყმაწვილი კოლოსავით გაიტაცა ცხენმა და, თითქო არც კი უგრძენია სიმძიმეო, მიჰქროდა და თან მიჰქონდა თავზარდაცემული თავადი. საკმაო ახოვნების ჰაბუკი ქუდივით მოსჩანდა სირბილში; მისთვისაც მზად იყო საფრთხე, მაგრამ ის კუდს არ შორდებოდა. მოიკრიბა უკანასკნელი ღონე, გადახტა განზე და უცებ მოიმაგრა თავი, გაქანებულმა ცხენმა შეუბრალებლად გაისროლა წინ, ელვასავით სწრაფი ჰაბუკი სწვედა სადავეს, მაგრად მოზიდა და შეაჩერა გამხეცებული ცხენი. თავად-აზნაურობა უყურებდა ამ სურათს, იმედ მოცემული თავადი ჩამოხტა ცხენიდან, ჰაბუკმა თავის დაკვრით მიაწოდა სადავე, და სწრაფად გაიწია განზე და უკან გადატრიალდა. თავადს საჩქაროდ მიუახლოვდნენ მხლებლები, მიულოცეს გადაარჩენა და მოწიწებით ჩამოართვეს ცხენი. სასახლეში სამხიარულოდ სროლა ასტყდა, რაც კარგა ხანს გავრძელდა; მიზეზი ამისა თავადის გადარჩენა იყო.

„მომიყვანეთ გიდელია, მომიყვანეთ საჩქაროდ“, — დაიყვირა სიხარულით აღვზნებულ მურზაყანმა და მხიარული თვლები გადაავლო ყველას.

სამზარეულოდან გამოიყვანეს ბიჭი, ბატონმა მხარზე ხელი დაადვა: — „შენი სამსახური დაუვიწყარია ჩემთვის; დღეიდან გამითავისუფლებიხარ მოჯალაბობიდან და გამიზატებიხარ. 1) ახლა მიდი ქალბატონთან, დაუჩოქე და მიულოცე თავადის გადარჩენა, მერე იახელი თავადს—ვახტანგს, მასაც დაუჩოქე და ჩოხის კალთაზე აკოცეო“.

1) აზატი იყო თავისუფალი ყმა. ასე ეძახდნენ, თუმც ხარკი იმასაც ემართა: ყოველ მესამე წლებით, ბატონი, თავის ჯალაბობით ესტუმრებოდა და რაც გააჩნდა ყოვლისფერს უჭამდა. თუ იქით ვერ წავიდოდა ბატონი, აზატს აქით უნდა მოერთმია, მესამე წლებით, ძვირფასი საკლავი: ძროხა, ან ხარი, და სხვა ძღვენი. თუ მდიდარი იყო, შეეძლო ყმა ეყიდა. საზოგადოდ, ყმის ყიდვა ყმასაც შეეძლო, რაც უნდა წოდების ყმა ის არ ყოფილიყო.

დარბაისელმა თავად-აზნაურობამ ერთობ დიდხანს გააგძელა მილოცვა... გიდელიაც გადადიოდა ხელიდან ხელში და ყველა ქებადიდებით იხსენიებდა მის სამსახურს თუმც ესეც იყო: ბევრს შურიც აეძრა ამ ახალგა-მოჩევილი აზატისადმი: ხანში შესულმა თავადებმა იმოვნეს ერთი ზედმეტი მასალა საოხუნჯო, საზმო და თავ-შესაქცევი, რითაც გააწითლეს ახალგაზდები.

კარგა ხნის შემდეგ, როცა ვახტანგმა ძალა მოიკრიბა და სთხოვა თავადს მურზაყანს, ეს ბიჭი მისთვის ეჩუქებია.

— „თუმც შენი ყმაა, ჩემო სიძეო და პატივცემულო თავადო მურზაყან, ეს გიდელია, მაგრამ დაბადებით კი ჩემთვის დაბადებულა. ის არ გამჩენოდა დღეს, შენს სასახლეს მწარედ ავატირებდი და ჩემსას დავაობლებდი. იმის სამსახური დაუფასებელია ჩემთვის... დამითმე, სა-მაგიეროდ სამს მისებრ ბიჭს გამოგიგზავნიო“.

მურზაყანი გაჩუმდა და ცოტა წყენაც გამოეხატა სახეზე, რაც შეატყო ვახტანგმა და შესცვალა თხოვნა:

— „კაი, არ ვთხოვ საჩუქრად, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთის წლით მაინც მათხოვებ, რომ ნაცვალის პატივისცემა გადაუხადო“.

ეს წინადადებაც სათაკლოდ დარჩა მურზაყანს:

— „ასე როგორ უნდა დაქვეითდეს თავადი თავის წოდებიდან, რომ ყმის წინაშე თავი დეიმდალოს და დიდად გაებოდინოს?—ძალმა რომ თავადს სამსახური გოუწიოს, თავადმა უნდა დოუჩოქოს ძალს? კიდევ შეიძლება მიეფეროს კაცი, მაგრამ ყმას? ეს მეტის მეტი, შენ ნუ მომიკვდები!.. გიდელიამ, თუ სამსახური გამიწია, ვალდებულიც იყო და მხარზე ხელიც დაეადე; ეს საკმაო ჯილდოა მისთვის და, რომ აზატობა აღუთქვი, იმისი კი რა მოვასხენო! მაგას ვერ ვიქ სწორედ! ამით პატივი ვეცი სტუმარს, ვსთქვი და გათავდა... მოჯალაბე მოჯალაბედვე დარჩება. ახლა მომდგარა და უნდა გამიზნაუროს მოჯალაბე!.. რად უნდა, რომ თხოულობს? ყოველგვარ უზნეობას შეასწავლის და ზნე წამხთარს გადმომიგდებს ერთი წლის შემდეგო“.— ფიქრობდა მურზაყანი და თან ამ უკანასკნელ თხოვნაზედაც უარის თქმას ლამობდა, მაგრამ საქმეში ქალბატონი ჩაერია და კმაყოფილებით გამოაცხადებინა თანხმობა მის წინადადებაზე.

გიდელიას მდგომარეობა უეცრად შეიცვალა. თავადი სასოვარიძემ უბძანა თავის მოურავს, გიდელისთვის ისეთი ტანისამოსი შეეკერა, როგორც ეკადრებოდა ბატონის მხლებელს და გამოწყობილი წარედგინა მისთვის. მოურავმა დაჩქარებით შეასრულა ბძანება და ერთ დილას კოხტად ჩაცმულ-დახურული ყმაწვილი წარუდგინა თავადს. ვახტანგმა ახედ-დახედა გიდელიას და დაუჯდა თვალში იმის შესანიშნავი ახალგაზდობა. ახალს და ლამაზად შეკერილ ტანისამოსს ისეთი შნო, ჯავარი და იერი მიეცა დათიკიასთვის, რომ რომელიც გინდ მაღალი წოდების ახალგაზდასაც კი შეეხარებოდა იმის ვაჟკაცური მოყვანილობა, შესანიშნავი ახოვნება, სასიამოვნო სილამაზე და გმირული გამოხედვა. თავადმა თავის ხელით ჩამოჰკიდა დათიკიას ლამაზად გაწყობილი თოფი, მისცა ხელებით ამოქარული დამბაჩა, აჩუქა ცხენ-უნაგირი და უბძანა, რომ მას არავითარი სამსახური არ ექნებოდა სასახლეში, ვარდა იმისა, რომ მას უნდა ხლებოდა, სადაც წაბძანდებოდა; ამასთან უბძანა, რომ იმ დღიდან მისი სახელი იყო დავითი.

დავითმა ჩინებულად შეიშვინა ეს სამსახურიც. ის დატრიალდა თავად-აზნაურობაში, გათამამდა და უფრო ვაზილობიანდა, რომ მაღალი წოდების საუბრებში წარმომადგენელისგან მისი გარჩევა არც კი შეიძლებოდა... ამასობაში წელიწადმაც გაიარა. თუმც ვახტანგს მეტის-მეტად ეძნელებოდა იმის დათმობა, მაგრამ სიტყვა არ გასტყვა: ერთ დილას მისცა დავითს წერილი მურზაყანისადმი, გამოეთხოვა და გაისტუმრა...

სალამო იყო, როცა დავითი მიადგა თავისი ბატონის ეზოს, ჩამოხტა თოფი უნაგირზე დაჰკიდა და აუჩქარებელი ნაბიჯით გასწია სასახლისკენ. მურზაყანმა რომ თავისი მოჯალაბე ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ხანჯალ-დამბაჩა დაკიდებული ნახა, ეწყინა; მაგრამ უფრო ვახტანგის წერილმა გააბრაზა, რომელიც სთხოვდა, რომ ამ აზატისათვის დავითი ეწოდებინა და პატივცემულადაც ჰყოლოდა.

— ა—ბატონო! ტყუილი არ მითქვამს:—გავიზნაურებს და გამოგიგზავნის მეთქი,—რო ვამბობდი! ახლა, გინდა არ გინდა, აზატობა მაინც უნდა მისცე!.. მოდი და ნუ გაწყრები!—დაიღრიალა მურზაყანმა, წერილი შორს გასტყორცნა და დავითი დაითხოვა თავის სახლში.

(შემდეგი იქნება).
კირილე წუთისოფელი.